INSI CONSTRUCTION

ბატონო თქვენთვის ცნობილია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 8 ივნისის №23.828.918 განკარგულებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 9 ივნისის №269 განკარგულების *(„ქ. თბილისში, შარტავას ქ. #1 ს/კ №01.10.13.015.114 არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის და ქ. თბილისში, შარტავას ქ. #3 ს/კ №01.10.13.015.112 ფართის სახით გასაცემი ვალდებულებების შესრულებისთვის შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ ს/ნ 204460957 და შპს „ინსის“ ს/ნ 206278516 მიმართ გასატარებელი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“)* საფუძველზე, აღნიშნულ სამშენებლო ობიექტთან მიმართებით განისაზღვრა დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებები. კერძოდ, მითითებული განკარგულებების ფარგლებში, მათ შორის:

- მოხდა მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება 8,7-დან 9,5-მდე (დაზარალებულთა დასაკმაყოფილებელი ფართების უზრუნველსაყოფად), ხოლო შემდგომ (კ-2) გაზრდა 9,5-დან 11,7-მდე (ფინანსური მხარდაჭერის მიზნით);
- ხელშემწყობი ღონისძიებების გათვალისწინებით, ასევე შეთანხმდა არქიტექტურული პროექტი და გაიცა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის პირობადადებული ნებართვა (ბრძანება №7190231).

ზემოაღნიშნული განკარგულებებით განსაზღვრული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში და მითითებული პირობების შესაბამისად, შპს „ინსი“-ს მიერ სრულად იქნა ანაზღაურებული განაშენიანების კოეფიციენტის გაზრდის ფარგლებში დაკისრებული ფინანსური მხარდაჭერის ღირებულება.

ამასთან, განკარგულებებით გათვალისწინებული დაზარალებულ პირთა დასაკმაყოფილებელი ფართების გარდა, გაზრდილი კოეფიციენტის ფარგლებში არსებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართები გადაეცა და დღეის მდგომარეობით წარმოადგენს შპს „ინსი“-ს საკუთრებას, რაც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში აღნიშნულ მისამართზე (ქ. თბილისი, შარტავას ქ. #1, ს/კ №01.10.13.015.114).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და ვინაიდან შპს „ინსი“-ს გააჩნია კანონიერი ინტერესი და საკუთრების უფლება მშენებარე ობიექტში არსებულ ფართებზე, ამავდროულად წარმოადგენს პროექტის ძირითად დეველოპერს და თანადეველოპერს, მიგვაჩნია, რომ არსებობს სრული სამართლებრივი საფუძველი, შპს „ინსი“ განისაზღვროს მშენებლობის <u>თანადამკვეთად</u>. გთხოვთ, შეიტანოთ ცვლილება შესაბამის სამართლებრივ აქტ(ებ)ში, მათ შორის მშენებლობის ნებართვაში (ბრძანება №8076988) და დაგვარეგისტრიროთ თანადამკვეთად.

შპს „ინსი“-ს

გენ. დირექტორი _____ /ზვიად თოიძე/